976ң 13.294


# პრივატიზების მაცნე

№ 1

იანვარი, 1996 წელი

PRIVATIZATION HERALD

პრივატიზაცია

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი | გამოდის 1993 წლიდან | ფასი 25 თეთრი


I-XI
1996 I-XI
219

## „ეკონომიკის ზრდა ძირითადად პრივატიზებული ობიექტების, საწარმოების მეშვეობით მოხდება“.

**— ამბობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე, რომელიც ამ დღეებში შეხვდა და ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.**

**— ბატონო ავთანდილ! კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალწელიწადს, რაც მთავარია, სახელმწიფო ქონების მინისტრად ხელახალ დანიშვნას და გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.**

— დიდი მადლობა. მე ვფიქრობ, რომ საერთო საქმიანობაში [illegible] და [illegible] ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი. ამდენად ნებისმიერი წარმატება თუ წარუმატებლობა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს კოლექტივთან, აგრეთვე [illegible] ჩემთან. გარკვეულწილად წარმატება თუ წარუმატებლობაა ამ [illegible], რომელსაც ჩვენ დიდ [illegible] ვაწყდით და რომელიც [illegible] ჩვენს საქმიანობას [illegible] ძალიან [illegible] წარმატება [illegible] თქვენს რედაქციის პრივატიზების პროპაგანდის [illegible] და [illegible] თქვენი რედაქციის [illegible] შობა-ახალწელიწადს [illegible] ახალ-ახალ [illegible] საქმიანობაში.

**— დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი რედაქციის სახელით და თუ საიდუმლო არ არის, გაგვიზიარეთ თქვენი პირადი აზრი — კმაყოფილი ხართ თუ არა მინისტრად ხელახალი არჩევით?**

— დიახ. მე პირადად ერთი რამით კმაყოფილი ვარ. პროცესი, რომელიც 1993 წლიდან დავიწყეთ მე და ჩემმა [illegible] - ჩვენი სამინისტროს. [illegible] პრაქტიკულად ჯერ არ დასრულებულა. ფაქტიურად დასრულებისკენ მიდის მცირე პრივატიზება. [illegible] მასობრივი პრივატიზების გზის [illegible]. ჩვენ მოგვეცა საშუალება ეს [illegible] ერთად დავასრულოთ.

**— ბატონო ავთანდილ! მხოლოდ ერთი სიტყვით, როგორ შეაფასებდით ჩატარებულ საქმიანობას?**

— დამაკმაყოფილებლად.

**— რა გაძლევთ ამგვარი შეფასების საფუძველს?**

— ამის საფუძველს, ცხადია, [illegible] გაწეული შრომა. რა მაქვს მხედველობაში? გასული წლის დასაწყისში ჩვენ ვთქვით, რომ, გარკვეული აზრით, 1995 წელი იქნებოდა პრივატიზების წელი. ეს ასეც მოხდა. [illegible]

[illegible]

ყოველი ჩვენი ნაბიჯი დარჩება ჩვენ მეხსიერებაში [illegible].

**— თქვენ ახლა ისაუბრეთ ცალკეული პრივატიზებული ობიექტების საკუთარ საქმიანობაზე. მათი მუშაობის დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, ვლის ინფორმაციის, მაგრამ ჩვენი რედაქცია ამ თვალსაზრისით ძალიან მძიმე სიტუაციაში იმყოფება — ვერ ვიღებთ ვერანაირ ინფორმაციას, განსაკუთრებით ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროდან. აქ პრივატიზებული ობიექტების მეღვინეები კატეგორიულ უარს ამბობენ ნებისმიერი ცნობის მიწოდებაზე. იმაზეც კი, თუ რამდენად გაიზარდა ერთი რიგითი თანამშრომლის ხელფასი ან რამდენი კაცის შენარჩუნება შეძლეს სამუშაოზე. თქვენ როგორ შეაფასებდით მათ საქციელს, რა არის ეს — ფსიქოლოგიური მომენტი თუ კრიმინოგენური სიტუაციის შიში?**

— იდეალურ ვარიანტში ამგვარი პრობლემები [illegible]

[illegible]

**— თუ ეს საიდუმლოდ არ მიგაჩნიათ, იქნებ დაგვიახლოვოთ თარიღი, რომელიც სახელმწიფო მიიღო სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან?**

— [illegible]

[illegible] 60-65 [illegible]

**— თუ შეიძლება დაგვაზუსტოთ პრივატიზებიდან შემოსულ სახსრებს ქონდათ თუ არა მიზნობრივი დანიშნულება?**

— რა თქმა უნდა. მაგრამ ეს საკითხი ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდიოდა. მთლიანად ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივა იყო, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა ეს თანხები. ისე კი ვარკვევთ, რომ ეს იყო ვალების [illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

## ნომერში


საუბარი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრთან ავთანდილ სილაგაძესთან — გვ. 1-2

ვაჭრობის მაჩვენებლები და რეფორმების ჩატარების სიმტკიცე — გვ. 3

აუქციონებზე გასატანი ობიექტების ნუსხები — გვ. 4-5

მხოლოდ ციფრები — გვ. 6-7

განცხადებები
რეკომენდაცია
საქმეთწარმოება სამართლებრივი ნორმად არქივის წესის შესახებ — გვ. 8


ნომერში

(დასასრული)

დაფარვა, იგივე ადგილობრივი ბიუჯეტი. ერთი სიტყვით ამ თანხით წყდებოდა უმწვავესი პრობლემები.

**— 1996 წელს რა მიგაჩნიათ თქვენთვის მთავარ პრობლემად?**

— პირველი და უმთავრესი ის არის, რომ ლავამთავრით მასობრივი პრივატიზების პროცესი. მეორე — შევქმნათ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვის ახალი მოდელი. მილიარდს უახლოვდება ფასიანი ქაღალდების პაკეტი აქციების სახით, რომელიც ჩვენს მიერ არის დამუშავებული. მეორადი ბაზარი კი არ არსებობს. ჩვენი მიზანია, რომ ყოველი ფასიანი ქაღალდის მოძრაობა ავტომატურად იყოს რეგისტრირებული. სხვაგვარად არაორგანიზებული ბაზარი დაანგრევს ჩვენს ეკონომიკას. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ორი თვის ვადაში გადავწყვიტოთ და დავუსვათ წერტილი. ძალიან დიდი პრობლემა იქნება ისიც, რომ ბევრ საწარმოში სახელმწიფომ დაიტოვა საკონტროლო პაკეტი. ეს შეეხება მრეწველობის, ეაჭრობის, მშენებლობის სისტემის ობიექტებს, პურ-პროდუქტების კორპორაციის საწარმოებს, ნავთობ-პროდუქტებს და ა.შ. მსოფლიო ბანკის მოთხოვნაა, თუ გვინდა დახმარება, კრედიტების მიღება, მაშინ მაქსიმალურად უნდა შევამციროთ საკონტროლო პაკეტების რაოდენობა და დავიტოვოთ მხოლოდ ის, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელმწიფოსათვის. კიდევ ერთი პრობლემა, რაც ადრე სულ არ იყო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ფუნქცია, გახლავთ უძრავი ქონების მართვა. უძრავი ქონების რეესტრი, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. ეს მარტივი საკითხი არ არის. სახელმწიფოს რჩება უზარმაზარი ქონება უძრავი ქონების სახით, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე გასცემს ოპერატიული მართვის უფლებით. ამიტომ ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, სად რა არის. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც უნდა დავძლიოთ. ამასთან უნდა მოვემზადოთ იმ პრობლემებისათვის, რომელიც ჩვენს წინაშე დადგება გაკოტრების შესახებ კანონის მიღების შემდეგ. ეს კანონი შეეხება, როგორც კერძო, ისევე სახელმწიფო საწარმოებს. საჭიროა ჩამოვყალიბდეთ ისე, რომ სადაც აუცილებელია დავიცვათ სახელმწიფო საწარმო უკანონო გაკოტრებისაგან, ხოლო იქ, სადაც გამოუვალი მდგომარეობა იქნება, შევძლოთ მწვავე კითხვებზე ჯეროვანი პასუხის გაცემა. და ბოლოს კიდევ ერთი პრობლემა: მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა უნდა დამყარდეს სამინისტროსა და პრივატიზებულ ობიექტებს შორის.

**— რა მექანიზმი არსებობს იმისათვის, რომ ერთგვარი კონტროლი გაეწიოს პრივატიზებულ ობიექტებს იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არ მუშაობს და, ცხადია, არავითარ მომსახურებას არ უწევს მოსახლეობას?**

— თუ საკითხს რეალურად მივუდგებით პრივატიზებულ ობიექტებს ჩვენგან კონტროლი საერთოდ არ უნდა სჭირდებოდეთ და აი რატომ: კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს გადასახადების მეშვეობით. თუ საწარმო გადასახადს ვერ იხდის და ჰყავს მევალე, მაშინ გადახდისუუნარო საწარმო უნდა გამოცხადდეს გაკოტრებულად. რომელზეც კანონი დღესდღეობით ჩვენ არ გვაქვს, თუმცა პარლამენტში ეს კანონი არსებობს პროექტის სახით და მისი მიღება დროის საქმეა. როცა საწარმოში იციან, რომ ვერ გადაიხდიან გადასახადებს და გაკოტრდებიან ეს იქნება კონტროლის ყველაზე ქმედითი ფორმა. თანაც ეს საწარმო ხომ არ განადგურდება. იგი გადავა მევალის ან ვალის გადამხდელის ხელში და გააგრძელებს საქმიანობას ახალი მეპატრონის ძალისხმევით. სხვანაირად საწარმო ვერ იმუშავებს ან პროფილს შეიცვლის და სხვა მიზნებისათვის იქნება გამოყენებული.

**— მხედველობაში გვქონდა გაკოტრების შესახებ კანონის მიღებამდე არსებული მექანიზმები.**

— მოგახსენებთ. ქონების დიდი უმრავლესობა ჩვენ გაყიდული გვაქვს საკონკურსო პირობებით. ამ პირობების შესასრულებლად გაწეული მუშაობის დაწერილებით ანგარიშს კოლეგიაზე ვიხილავთ სამ თვეში ერთხელ. იყო არაერთი შემთხვევა, როცა აუმოქმედებელი ობიექტის მესაკუთრე დავაჯარიმეთ ღირებულების ათი პროცენტის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში ჩამოვართვით მესაკუთრის უფლება. სასამართლოზეც დავსვით ასეთი ობიექტის საერთოდ გაუქმების საკითხი. საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, განსაკუთრებით პურის მაღაზიები ვერ იცვლიან პროფილს და ესეც კონტროლის ერთ-ერთი სახეა. და კიდევ: სადაც მნიშვნელოვანი საწარმოა, იქ იყიდება აქციების პაკეტი პროფილის, სამუშაო ადგილების შენარჩუნების მოთხოვნით, სახელმწიფო შეკვეთების შენარჩუნებით და ა.შ. ასე რომ კონტროლის მექანიზმები მაინც გვაქვს.

**— რამდენად რეალურია განათლების ობიექტების პრივატიზება და რა მიზნები ექნება მას?**

— განათლების სფერო ძალიან სათუთი და საფრთხილო უბანია, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ პრივატიზების პროცესი აქაც უნდა დაჩქარდეს. განათლების სისტემისაგან შორს არც ერთი არ ვდგავართ და ვიცით, რომ, გვინდა თუ არა, აქაც უკვე შემოვიდა კერძო სექტორი. ამიტომ როგორი სიფრთხილეც არ უნდა გამოვიჩინოთ, მაინც უნდა გავიმეტოთ რაღაც, რაღაცას უნდა შევველიოთ. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოს დღეს არ შეუძლია დაეხმაროს განათლებას იმ მოცულობით, იმ მასშტაბებით, როგორიც განათლებას სჭირდება. აბა გავიხსენოთ, რამდენი სასკოლო შენობა წლობით ელოდება კაპიტალურ შეკეთებას და ეს ვერ ხერხდება სრულიად ობიექტური მიზეზების გამო. ამიტომ ის თანდათან გამოუსადეგარი ხდება. რამდენი დაუმთავრებელი სასკოლო შენობა ლიაცისქვეშ ინგრევა. რატომ არ შეიძლება ისინი ვიღაცას მივყიდოთ ან სრულიად უფასოდ მივცეთ იმ პირობით, რომ მოუვლის და პროფილს შეუნარჩუნებს. მოინახება ასეთი ხალხიც თუნდაც იმავე განათლების სფეროდან, თუ აქ კერძო კაპიტალს არ გავაჭაჭანებთ, ვერ გამოვალთ კრიზისიდან. ამიტომ აქაც უნდა გადაიდგას ნაბიჯები პრივატიზებისაკენ.

**— როგორ ფიქრობთ, ვაუჩერების გაცემისა და მათი საქმეში დაბანდების დროს რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები?**

— ვაუჩერების გაცემის დროს, მატერიალური ღირებულებების გაცემისას, მე ვფიქრობ, რომ ადამიანის უფლებები მთლიანად დაცულია და ყველა თანაბრად იღებს მის კუთვნილ ღირებულებებს, მაგრამ თუ მთლიანობაში ავიღებთ, რა თქმა უნდა, ეს უფლებები თანაბრად არ არის დაცული. არ შეიძლება, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ გვაქვს იმის მაგალითი, რომ პრივატიზებას გაეთანაბრებინოს მოსახლეობის შემოსავალი. ჩვენ არც გვითქვამს და არც არასდროს ვიტყვით ამას. სოციალური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ არის დაცული.

**— იურიდიული თვალსაზრისით?**

— იურიდიული თვალსაზრისით, საკამათოა. შეიძლება ბოლომდე არც ამ მხრივ იყოს დაცული. სოციალიზმის დროს ჩვენ ყველას თანაბრად გვეკუთვნოდა სახელმწიფო ქონება და ახლაც ასე უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ადრე, პრაქტიკულად არც ახლა გვექნება რამე. თუ ყველაფერს ძველებურად დავტოვებთ და გავათანაბრებთ ყველას, მაშინ რეალური მყიდველი არც ერთ საწარმოს არ ეყოლება. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ უნდა იყოს რაღაც ჯგუფი ინვესტორებისა, რომელიც მათ მიერ შეძენილ საწარმოს აამუშავებს და მართავს. საბოლოოდ ამ მართვის პროცესში უნდა შეიქმნას მატერიალური დოვლათი, რომლის მეშვეობით ბიუჯეტში შევა გაცილებით მეტი თანხები. სწორედ ბიუჯეტის მეშვეობით უნდა მოხდეს მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა და თანაბრობის პოზიციის დაბრუნება. ეს უნდა მოხდეს არაპირდაპირი გზით, თუ ხელფასი დღეს ცოტა გვაქვს, სწორედ ბიუჯეტის მეშვეობით მოხდება ხელფასების ზრდა და ეს იქნება სწორედ იმ ორგანიზაციების, საწარმოების შემოსავლის ნაწილი, რომელთა პრივატიზებას ჩვენ დღეს ვახდენთ და რომელშიც ყველა თანაბარ წილს ვერ იღებს. აი გათანაბრება და დაბალანსება მოხდება იქ — სოციალური საკითხების გადაწყვეტის დროს.

## „ეკონომიკის ზრდა ძირითადად პრივატიზებული ობიექტების, საწარმოების მეშვეობით მოხდება“.

**— ბატონო ავთანდილ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სხვა მომენტი. თქვენ იცით, რომ ე.წ. " შავ ბაზარზე"დიდი რაოდენობით ვაუჩერი იყიდება.**

— დიახ. მოსახლეობა თვითონ ყიდის საკუთარ ვაუჩერს. ეს მისი კანონიერი უფლებაა.

**— ცხადია მაგრამ ხშირად მშობლები ყიდიან იმ ვაუჩერებსაც, რომლებიც მათ მცირეწლოვან შვილებს ეკუთვნით და რომელთაც ახლა არ შეუძლიათ საკუთარი მიზნებისა თუ ინტერესების დაცვა. ფაქტიურად ის ბავშვი კარგავს ამ ვაუჩერს.**

— რა თქმა უნდა, ეს ასეა და ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირის შედეგია. ადამიანები დღეს ვაუჩერს რაღაც 6 ლარად ყიდიან. ამ სიდუხჭირისაგან თავის დასაღწევად ვატარებთ პრივატიზებას. რა ექნათ, როგორ ავუკრძალოთ ხალხს ვაუჩერების გაყიდვა? ეს მძიმე სიტუაცია აიძულებს ხალხს [illegible] საკუთარი შეხედულ[illegible] რომელიც ახლა ვაუჩერს კარგავს, შეიძლება განსაკუთრებით დაზარალებული არც აღმოჩნდეს, რადგან ამ ერთი ვაუჩერით ნაყიდი აქცია მას დიდ სოციალურ პრობლემებს ვერ გადაუწყვეტს. კარგია თუ რაღაც მატერიალური ღირებულება, თუნდაც სულ უმნიშვნელო ჰქონდეს ახალგაზრდა კაცს, მაგრამ ამის მოგვარება სხვა გზითაც შეიძლება. თუ თვითონ ეს პიროვნება იქნება უნარიანი, საზოგადოება იქნება ეკონომიკურად ღონიერი, მაშინ მშრომელი კაცი აუცილებლად გადაჭრის თავის პრობლემებს. საამისო ბაზაც ექნება. სწორედ პრივატიზება შექმნის ამგვარ ბაზას. ცხადია. ახალგაზრდა თაობას იმაზე გაცილებით უკეთეს პირობებში მოუწევს ცხოვრება და მოღვაწეობა, ვიდრე ეს ჩვენ გვქონდა. ისინი უფრო ძლიერ საქართველოში იცხოვრებენ და ეს იქნება იმ ადამიანების დამსახურება, რომელთაც დღეს უჭირთ.

**— ცოტა ხნით დავცილდეთ პრივატიზებას, თუმცა მას მთლიანად ვერც ამ შეკითხვაში მოვწყდებით, რადგან მთელი დღევანდელი ჩვენი საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული სრულიად ახალ აზროვნებას, ახლებურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობებთან. დღეს თქვენ მთელი დღე დაკავებული ბრძანდებოდით, რითი? მაინც რას ახმარს თავის დროს მინისტრი — მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას თუ უფრო მეტად გლობალურ პრობლემებზე მუშაობს?**

— ვერ ვიქნები ძალიან ორიგინალური და გეტყვით, რომ ერთიც არის და მეორეც. როცა გლობალური საკითხები წყდება მეტი სიოლეა, რადგან მასზე მუშაობისას მთლიანად კონცენტრირებული ხარ და მთელი ყურადღებაც მასზე გაქვს გადატანილი. ძნელდება მიმდინარე საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტა. ამიტომ ესენიც ძალიან დიდ დროს მოითხოვენ. მთავარია არ ავცილდეთ სტრატეგიულ საკითხებს, რომელსაც ყოველთვის თან ახლება ოპერატიულიც. სხვანაირად მოქმედების უფლებას ცხოვრება არ მოგვცემს.

**— დიდი მადლობა საუბრისთვის და კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას.**

— მეც მადლობელი ვარ და თქვენს კოლექტივსაც ასევე წარმატებებს ვუსურვებ.

---

1996 წლის 5 იანვარი

## ვაუჩერების განაწილების თაობაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულ იქნენ მოქალაქეები, ვინც ახალ ქართულ ბანკში უკვე მიიღო თავისი საპრივატიზაციო ბარათი

1996 წლის 5 იანვარს "დიუ როჯერსონმა" ჩაატარა გამოკითხვა 22 მოქალაქისა, ვინც ახალი ქართული ბანკის ისნის რაიონის ფილიალში უკვე მიიღო თავისი საპრივატიზაცია ბარათი. მოქალაქეებს უნდა ეპასუხათ კითხვებზე:

1. როგორ გამოიყენებთ თქვენს ვაუჩერს?

- არ იცით.
- გაყიდით.
- დააბანდებთ საინვესტიციო ფონდში
- დააბანდებთ თქვენს მიერ შერჩეულ საწარმოში.

2. გესაჭიროებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია პრივატიზების პროცესზე. კერძოდ:

- როგორ შეარჩიოთ საინვესტიციო ფონდი
- როგორ შეარჩიოთ საწარმო
- როგორ მიიღოთ მონაწილეობა აუქციონში

ამ გამოკითხვის შედეგები შედარებულ იქნა წინა ჩატარებულ გამოკითხვის შედეგებთან. "დიუ როჯერსონი" სისტემატურად შეისწავლის საკითხს და შექმნის მონაცემთა ბანკს ამ თემაზე.

გამოკითხულთა 18 პროცენტმა მიუთითა, რომ ისინი გაყიდიან თავიანთ ვაუჩერს. ეს ციფრი შემცირდა წინა კვირის მონაცემთან შედარებით.

გამოკითხულთა 31 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ არ გადაუწყვეტიათ, როგორ გამოიყენონ ვაუჩერი. 50 პროცენტმა გარკვეულად იცის როგორ გამოიყენოს თავისი ვაუჩერი, აქედან რესპონდენტთა უმეტესობამ ანუ 72 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი აპირებენ ვაუჩერის დაბანდებას საწარმოში, ხოლო 27 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი აბანდებენ ვაუჩერს საინვესტიციო ფონდში. გამოკითხულთა 23% განაცხადა, რომ საერთოდ მეტი ინფორმაციაა საჭირო ვაუჩერების გამოყენებასა და პრივატიზაციის პროცესზე. ეს მაჩვენებელი ფაქტიურად იგივე დარჩა რაც იყო წინა კვირას. აქედან 28 პროცენტს აინტერესებს თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა აუქციონში და როგორ შეარჩიონ საწარმო.

გამოკითხულთა 71 პროცენტი ინფორმაციას იღებს ტელევიზიის მეშვეობით.

"დიუ როჯერსონი" სისტემატურად იღებს ინფორმაციას ვაუჩერის საბაზრო ფასზე. ვაუჩერის საბაზრო ფასი დგინდება რკინიგზის სადგურთან მდებარე შავ ბაზარზე. ვაუჩერის გასაყიდი ფასი არის 6,3 ლარი.

### საქართველოს მოქალაქეები, ვისაც სურთ ვაუჩერის გაყიდვა




### ერთი ვაუჩერის საბაზრო ღირებულება



# ვაჭრობის მაჩვენებლები დამოკიდებულია რეფორმების ჩატარების სიმტკიცეზე

ბართლომე კამინსკი, მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი;
ჯენ კუნ ვანგი, მსოფლიო ბანკის განყოფილების კონსულტანტი;
ლ. ალან უინტერსი, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ვაჭრობის განყოფილების სექტორის ხელმძღვანელი.

ცენტრალური დაგეგმარების საერთო მემკვიდრეობის მიუხედავად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. კომუნისტური სავაჭრო სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შიდარეგიონალური ვაჭრობის მოცულობები მნიშვნელოვნად შემცირდა. სავაჭრო ურთიერთობათა ორიენტირთა შეცვლის ცდა ერთნაირად წარმატებული არ იყო. ქვეყნებმა, რომლებმაც შეძლეს მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება – ეკონომიკის სტაბილიზება, ფასების განთავისუფლება, საგარეო ვაჭრობის მიმართულების შეცვლა და სავალუტო გაცვლის რეჟიმის ლიბერალიზაცია, შედარებით უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ექსპორტის მაჩვენებლების გაუმჯობესებასა და საკუთარი საგარეო ვაჭრობის ორიენტაციის შეცვლაში, რამაც განაპირობა გარკვეული უპირატესობები.

### კლასიფიკაცია ვაჭრობის მაჩვენებლების მიხედვით

ეს დასკვნა გამოტანილია საექსპორტო მაჩვენებელთა ინდექსების საფუძველზე, რომელიც მიღებულია 1989-93 წლების მონაცემების დახმარებით, რაც ასახავს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ოცდაერთ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას: ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, და დსთ-ს თხუთმეტი სახელმწიფო. ინდექსი შედგება ხუთი მაჩვენებლისაგან:

### ექსპორტის ზოგადი ცვლილება

ეუს-ის წილის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის) ან შიდასახელმწიფოებრივი ვაჭრობის ცვლილება ( ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის) საერთო ექსპორტში.

### სამრეწველო ნაკეთობათა ექსპორტის შეფარდება

მაჩვენებლები ასახავენ სხვადასხვანაირ შემადგენელ ნაწილებს, და როცა მათ იღებენ შეთავსებით, იქმნება ექსპორტის ორიენტაციის შეცვლის სურათი. ქვეყნები კლასიფიცირდებიან ოთხი კრიტერიუმის საფუძველზე ( იხ. ცხრილი). ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან "კარგი" საექსპორტო მაჩვენებლებით, რომელთა შორის არიან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ბალტიის ქვეყნები, რეგისტრირებულია მათი ვაჭრობის ორიენტაციების მნიშვნელოვანი ცვლილებები. ადრე გაკეთებული პროგნოზები იმის თაობაზე, რომ ნედლეულის ძირითადი სახეები ან მარტივი სამრეწველო ნაკეთობანი გახდებოდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ექსპორტის გაფართოების ერთადერთი წყარო, თუნდაც კლასიფიცირებულნი ყოფილიყვნენ როგორც კარგი ექპორტიორები, მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა: ექსპორტის ზრდის ძირითადი ნაწილი მოვიდა შრომატევად სამრეწველო საქონელზე, განსაკუთრებით ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე. თუმცა კაპიტალტევადმა წარმოებამაც შეიტანა თავისი წვლილი ექსპორტის გაზრდაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის რეჟიმებმა შეინარჩუნეს ცენტრალური დაგეგმარების ყოფილი სისტემის ძირითადი ნიშნები, ექსპორტზე პირდაპირი კონტროლის განხორციელებისა (უცხოური ვალუტის ჩაბარებაზე მოთხოვნის ჩათვლით) ან პირდაპირი საექსპორტო ბეგარების გამოყენების ჩათვლით. მოხდა იმპორტული რეჟიმების ლიბერალიზაცია, თუმცა მრავალ შემთხვევაში ადმინისტრაციული კონტროლი და უცხოური ვალუტის გამოყოფა აყოვნებდა იმპორტს და ხელს უწყობდა სამამულო (ადგილობრივი) მწარმოებლების დაცვას საერთაშორისო კონკურენციისაგან. მსგავსი აშკარად პროტექციული პოლიტიკა მუშაობდა რესტრუქტურიზაციის წინააღმდეგ, ამცირებდა შემოსავლებს ექსპორტიდან, ახალისებდა კაპიტალის გატანას და ასაზრდოებდა კორუპციასა და მექრთამეობას.

საგარეო ვაჭრობის რეჟიმები, რომლებიც ეფუძნება საბაზრო ურთიერთობებს და ნდობის ღირსი სტაბილიზაციის პოლიტიკა ჩვეულებრივ ტანდემით მოძრაობენ. მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევის გამუდმებულმა მოლოდინმა შეიძლება მოახდინოს სამამულო ვალუტის დისკრედიტაცია და მყარი ვალუტის ტეზავრაცია გამოიწვიოს. როგორც მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევა, ისე ექსპორტის შეზღუდვები ხელს უწყობს ისედაც ნამდვილ ღირებულებაზე დაბლა მყოფი ეროვნული ვალუტის შემდგომ გაუფასურებას და ამგვარად ამცირებს მაღალხარისხიანი რესურსებისა და სამომხმარებლო საქონლის საზღვარგარეთიდან იმპორტის შესაძლებლობას. ისინი ანადგურებენ სავალუტო რეზერვებს და მიმდინარე საბანკო ანგარიშის კონვენტირებადობას განუსაზღვრელი ვადით აშორებენ.

### ეჭვები და დარწმუნება

კრიტიკოსებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ შესაძლებლობას, რომ რეფორმების განხორციელებაში პროგრესმა შეიძლება ხელი შეუწყოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებას, ჩვეულებრივ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

I. საერთაშორისო ვაჭრობაზე მემკვიდრეობით გადმოცემული დამოკიდებულება, ან ვაჭრობა ეუს-ის ფარგლებში, საშუალებას არ მისცემს სამამულო მეწარმეებს გააფართოონ ექსპორტი. მაგრამ: ვაჭრობის სისტემის მემკვიდრეობად მიღებულმა დამახინჯების დონემ გადამჭრელი ზემოქმედება ვერ იქონია ქვეყნების შესაძლებლობაზე – ორიენტირი შეეცვალათ თავიანთი ვაჭრობისათვის. მაგალითად, ესტონეთმა და ლატვიამ მნიშნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ვაჭრობის ორიენტაციის შეცვლაში, მიუხედავად საბჭოთა ეკონომიკაში ინტეგრაციის განსაკუთრებული და მაღალი დონისა.

2. ღია ეკონომიკა დაშლის სამამულო წარმოებას. მაგრამ: საიმპორტო საქონლის მხრივ კონკურენციამ ვერ დაშალა იმ ქვეყნების ეკონომიკა, რომლებსაც კარგი საექსპორტო მაჩვენებლები ჰქონდათ. სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების ადრეულ სტადიაზე კონკურენციის დაწოლა შეასუსტა ნამდვილ ღირებულებაზე დაბლა მდგომმა შიდა ვალუტამ, უფრო გვიანდელ სტადიებზე კი იმის შიში, რომ სწრაფი რეალური რევალვაცია დასცემდა ექსპორტის დონეს და გამოიწვევდა იმპორტის სწრაფ ზრდას განუსაზღვრელ სიდიდემდე, და ამგვარად ძირს გამოუთხრიდა იმპორტის კონკურენტ წარმოებას, არ გამართლდა. არც ექსპორტის ზრდა და არც შიდა სამრეწველო წარმოება არსებითად არანაირად არ დაბრკოლებულა.. იმპორტის არსებობა სტიმულს აძლევდა ეფექტიანობას და ეხმარებოდა ექსპორტის ზრდას.

3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელთა გაუმჯობესება უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ შეღავათებით, რომლებიც ეძლეოდათ ბაზარზე გასვლისას, მაგრამ: ბაზარზე გასვლა გაიოლებული იყო ყველა ამ ქვეყნებისათვის. ამიტომ გარე ბაზრებზე დისკრიმინაციული ზომების მოხსნით არ შეიძლება აიხსნას განსხვავება ვაჭრობის ორიენტაციის შეცვლის ტემპებში. იმ ქვეყნებმა, რომლებშიც რეფორმა ნელა მიმდინარეობდა, ვერ შეძლეს ესარგებლათ ამ უპირატესობით.

4. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციას წინ უნდა უსწრებდეს პრივატიზაცია და ლიბერალიზაცია შიდა ბაზარზე. მაგრამ:თუ საბიუჯეტო შეზღუდვები სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გამკაცრდება, მაშინ მოკლევადიან პერსპექტივაში პრივატიზაცია არ იქნება ისეთი აუცილებელი კარგი საშუალება საექსპორტო მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად. ხანგრძლივვადიანი გაგებით კი პრივატიზაცია, ლიბერალიზაცია და რეალისტური კურსები გაცვლისა აუცილებელია პირობების სრულყოფილი ბაზრისაგან მომდინარე სიგნალებზე ეფექტური რეაქციის უზრუნველსაყოფად.

### საშუალო მაჩვენებლები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ექსპორტის კარგი მაჩვენებლები | | -36 | 14 | | | | |
| ყოფილი ჩეხოსლოვაკია | -41 | 23,7 | 206 | -"- | არა | 1990 | არა |
| პოლონეთი | -63 | 11,9 | 233 | -"- | არა | 1991 | არა |
| უნგრეთი | -44 | 17,8 | 179 | -"- | არა | 1991 | არა |
| ბულგარეთი | -23 | 13,6 | 155 | -"- | არა | 1992 | არა |
| ლიტვა | -27 | 18,4 | 178 | -"- | არა | 1993 | არა |
| უზბეკისტანი | -17 | 3,0 | 593 | მნიშვნ. | დიახ. | შეადეგ. | დიახ |
| ესტონეთი | -44 | 9,9 | 157 | ძალიან მცირე | არა | 1992 | არა |
| ლატვია | -30 | 16,6 | 187 | -"- | არა | 1993 | არა |

### საშუალო მაჩვენებლები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ცუდი საექსპორტო მაჩვენებლები | | 13 | 3 | | | | |
| ტაჯიკისტანი | -35 | 3,8 | 429 | მნიშვნ. | დიახ | არა | დიახ |
| თურქმენისტანი | -27 | 5,7 | 97 | -"- | დიახ | არა | დიახ |
| საქართველო | -21 | 3,1 | 340 | -"- | დიახ | არა | დიახ |
| რუმინეთი | -8 | 10,1 | 117 | ზომიერი | დიახ | არა | დიახ |
| უკრაინა | -11 | 2,0 | 314 | მნიშვნელ. | დიახ | არა | დიახ |
| ყაზახისტანი | -6 | 1,8 | 224 | ზომიერი | დიახ | არა | დიახ |
| რუსეთი | -18 | 7,7 | 89 | მნიშვნელ. | დიახ | 1993 | დიახ |
| ბელორუსია | 2 | 1,3 | 215 | -"- | დიახ | შეზღუდ. | დიახ |
| ყირგიზეთის რესპუბლიკა | -9 | 0,5 | 575 | -"- | დიახ | არა | დიახ |
| მოლდავეთი | -6 | 1,2 | 426 | -"- | დიახ | არა | დიახ |
| აზერბაიჯანი | -11 | 1,6 | 176 | -"- | დიახ | არა | დიახ |
| სომხეთი | -2 | 0,2 | 26 | -"- | დიახ | არა | დიახ |

### დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნებს, რომლებშიც სწრაფად განთავისუფლდა ფასები, შემცირდა სუბსიდიები, დემონტაჟი ჩაუტარდა სახელმწიფო ვაჭრობის სისტემას და დაცულია რეფორმების გზა, ჩვეულებრივ კარგი ექსპორტული მაჩვენებლები აქვთ. ლიბერალური იმპორტული რეჟიმი ხშირად ფარავს მკაცრ კონტროლს ექსპორტზე, რომლის მიზანია სუბსიდირებული პროდუქციის შენარჩუნება ქვეყნის შიგნით იმ დროს, როდესაც სამამულო ვალუტის ხელოვნურად დაქვეითებული კურსი ეფექტურ იზოლირებას უკეთებს შიდა მეწარმეებსა და მომხმარებელებს საერთაშორისო ბაზრიდან. უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის გახსნას მასზე საერთაშორისო ბაზრის ძალის ზემოქმედებისათვის რეფორმების საწყის ეტაპზე, ასევე ცხადია, რომ ვაჭრობაში რეფორმების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპორტში წარმატებისათვის, მაგრამ ისინი ვერ იქნებიან ეფექტურნი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ფასების ლიბერალიზაციის, სწორი სავალუტო კურსის დადგენისა და საწარმოთა ფართომასშტაბიანი რეფორმირების გარეშე, ამ ამოცანების ეფექტური განხორციელება მოითხოვს ფართომასშტაბიან მოქმედებას.

# აუქციონზე გასატანი ობიექტების ნუსხა

## №30 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1996 წ. 24 იანვრიდან 6 თებერვლის 17 საათამდე.

1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს გარდა მუქი ფერით გამოყოფილი ს/საზოგადოებების აქციებისა, რომელთა 1 აქცია=1 აშშ დოლარის ექვივ-ს. აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 ცალი 1,46 აშშ დ. ან 65 ცალი 1 აშშ დ. ექვ. ნ/ღირებულების აქცია.

| № | ზონა | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალიდან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | VIII | 201 "ქუთ. რეზინა-ტექნიკის ნაკეთ. N 2 ქ-ნა" | 290660 | 108000 | 37.16 | 157894.7 | 480-201 | ქუთაისი, მშვენიერის 20. | შ. ნუცუბიძე | 0.63 |
| 2. | VIII | 203."ამრემშენი" (სამტრედიის ძაფსახვევი ფ.) | 79954 | 28000 | 35.02 | 40935.67 | 410-203 | სამტრედია, ქართველიშვილის 3, ტ.2320 | ო. კვანტალიანი | 2.5 |
| 3. | VIII | 213."საქართველ. საერთაშ. ტრან." ("საქტრანს") | 516344 | 229500 | 44.45 | 335526.3 | 350-213 | მესტია, შანტიე, ულიანოვის 105-ა, ტ.622 | ი. გაბურიძე | |
| 4. | II | 217."საქკაბელი" (ზესტაფ. კაბელის ნაკეთ. ქ-ნა) | 262893 | 110000 | 41.84 | 160818.7 | 210-217 | ზესტაფონი, სარიშვილის 15, ტ.53957 | ბ. კაჭკაძე | 7.5 |
| 5. | VI | 218."საქხილმშენდეტალი" (საწ. ტრესტი) | 214813 | 103000 | 47.95 | 150584.8 | 232-218 | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გ.45, ტ.389167 | ვ. ვახტანიშვილი | |
| 6. | XI | 221."გელათი" (ქუთ. სერვის და ქალ. საწ.) | 32967 | 13000 | 39.43 | 19005785 | 480-221 | ქუთაისი, გაგარინის 16 | ნ. ხუხუა | 2.7 |
| 7 | IV | 222."კოლხეთი" (წალენჯიხის ჩაის ფ-კა) | 131114 | 58000 | 44.24 | 84795.32 | 510-222 | წალენჯიხა, კომკავშირის 6, ტ.22730 | ნ. ხალვაში | 3.5 |
| 8. | VI | 228."ფეროპრო" (საქმეტალურგ-ის სკ ცენტრი) | 45148 | 4747 | 10.51 | 6940.058 | 238-228 | თბილისი, ვ. ბარნოვის 1, ტ. 732881, | ლ. მჭედლიძე | 23 |
| 9. | VIII | 236."ბორჯომის მინის ტარა" (ბორჯომ.მ.ტ.ქ.) | 146757 | 61000 | 41.57 | 89181.29 | 130-236 | ბორჯომი, თორის 22, ტ.23021 | გ. კურტანიძე | |
| 10 | IX | 238."მეგობრობა" (ლანჩხუთის საკონსერვო ქარხანა) | 307960 | 144000 | 46.76 | 210526.3 | 300-238 | ლანჩხუთი, კალინინის 4, ტ.3146 | გ. ებრალიძე | 4.2 |
| 11. | II | 239."საქართველოს ქვა" ("საქქალაქმშენსამშენებლო") | 147593 | 70700 | 47.9 | 103362.6 | 237-239 | თბილისი, პეტრე ხარაზიშვილის 11 | ო. გოგია | 0.5 |
| 12. | XII | 240."ქანდარი" ("სამტრ." სამრ. კ ფ-კა) | 130521 | 15900 | 12.48 | 23245.61 | 160-240 | გურჯაანი, სოფ. ქანდარი, ტ. 23121 | ზაკალაშვილი | 5 |
| 13. | V | 241."კოტეხი" (გურჯაან. "სამტრ." სამრ.კ. ფ-კა) | 214260 | 27800 | 12.97 | 40643.27 | 160-241 | გურჯაანი, არაგვისპირელის 38 | ქორთლელიშვილი | 8 |
| 14. | IV | 242."კაჭრეთი" (გურჯ."სამტრ" სამრ. კ. ფ-კა) | 504116 | 78500 | 15.57 | 114766.1 | 160-242 | გურჯაანი, სოფ. კაჭრეთი | რ. იმერლიშვილი | 7 |
| 15. | XII | 244."ქუთაისის ავეჯისერვისი "მისკვლი" | 127495 | 62000 | 48.63 | 90643.27 | 480-244 | ქუთაისი, ბუკიას 24 | ნ. სარჯველაძე | 4 |
| 16 | XII | 245."პოლიგრაფი" (ბეჭდვ.სიტყვის კომბ. საწ.) | 135206 | 65000 | 48.07 | 95029.24 | 239-245 | თბილისი, ცაიშის 5 | ო. კოლოტაური | 6.8 |
| 17. | XII | 250."ელიტა" (თელავის სორტმცენარეთა) | 39144 | 15500 | 39.6 | 22660.82 | 250-250 | თელავი, აღმაშენებლის 2, ტ.34235 | | 4.97 |
| 18 | I | 259."გაგი" (სამშ. სამონტ. ს."საქმელიორწყალმშენი") | 787688 | 276000 | 35.04 | 403508.8 | 230-259 | თბილისი ტ. ტაბიძის 39 | | 14.6 |
| 19 | X | 260."მელანი" (სალედ.-ექსპერიმენტ. ქ-ნა) | 176818 | 66000 | 37.33 | 96491.23 | 230-260 | თბილისი, ბაღნარის 2-ა | შ. ბანძელაძე | |
| 20. | VII-XV | 261."იოკა" (სამტრედიის N 1 საკონს. ქ-ნა) | 325415 | 76000 | 23.35 | 111111.1 | 410-261 | სამტრედია, ჯაჯანიძის 61, ტ.23251 | რ. ქართველიშვილი | 8 |
| 21 | XV | 262."ქუთაისის N 4 ასაწყობ-სამონტაჟო საწ." | 218042 | 98000 | 44.95 | 143274.9 | 480-262 | ქუთაისი, აღმაშენებლის 37, ტ. 64257 | გ. ხახალეიშვილი | 4,7 |
| 22. | XII | 263. "თოლია" (ზესტაფონის მეფრ. აგროფირმა) | 86428 | 20000 | 23.14 | 29239.77 | 210-263 | ზესტაფონი, სადგ. სვირი | ნ. ულიბერიძე | |
| 23. | X | 268."კოდა" (თეთრიწყაროს კოდის მეფრინვ. ფ-კა) | 839365 | 267000 | 31.81 | 390350.9 | 240-268 | თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ. კოდა | | |
| 24. | X | 269."ზუგდიდკონსერვი" | 422469 | 201000 | 47.58 | 293859.6 | 220-269 | ზუგდიდი, თამარ მეფის 3 | შ. ჯოჯუა | |
| 25. | XIV | 277. "მერისი" (ზესტაფ. ძირულ. სამშენებლო ქ.) | 148577 | 60000 | 40.38 | 87719.3 | 210-277 | ზესტაფონი, ძირულა | გველესიანი | 0.45 |
| 26. | XI | 279."თაიგული" (ჩოხატაურის N 1 ჩაის ფ-კა) | 141869 | 66000 | 46.52 | 96491.23 | 540-279 | ჩოხატაური, გურამიშვილის 10, ტ. 2259 | ი. სულაბერიძე | 5.16 |
| 27. | XII | 280."ცხემლა-4" (ჩოხატ. N 4 ჩაის ფ-კა) | 232153 | 111000 | 47.81 | 162280.7 | 540-280 | ჩოხატაური, ს. ქვენობანი ტ. 2912. | ბ. ძაძამიძე | 5.34 |
| 28. | X | 281."არომატი" (ჩოხატაურის N 2 ჩაის ფ-კა) | 107653 | 50000 | 46.45 | 73099.42 | 540-281 | ჩოხატაური, მარის 50 | თოლორაია | 6.1 |
| 29. | XII | 282."ცხემლა-3" (ჩოხატ. N 3 ჩაის ფ-კა) | 85576 | 39700 | 46.39 | 58040.94 | 540-282 | ჩოხატაური, ტ.2046 | თოლორდავა | 5.3 |
| 30. | XVII | 779."მეტეხი" (კასპი, მეტეხის აგურის ქარხანა) | 137901 | 49000 | 35.53 | 71637.43 | 280-779 | კასპი, სადგური მეტეხი | | |
| 31. | XXX | 848. "საქმონტაჟსპეცმშენის ატრანსპ. სამმ." | 82879 | 35000 | 42.23 | 35000 | 390-848 | რუსთავი, მშენებელთა 69 | გ. დარასელია | 7.5 |
| 32. | XXX | 849."საქსპეცდაცვაში" (თხევადი გაზის რიკ.) | 1136331 | 490000 | 43.12 | 490000 | 235-849 | თბილისი, ლერმონტოვის 10 | შ. ცაავა | 20.8 |
| | | სულ | 8256109 | 3099347 | | 4288665 | | | | 158.25 |

## №31 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1996 წ. 31 იანვრიდან 13 თებერვლის 17 საათამდე.

1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვ. ვალუტაში

აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.

| № | ზონა | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალიდან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XII | 283."გურჯაანი" (გურჯ.ქ-ნა "ელექტრომანქ.") | 468674 | 225000 | 48.01 | 328947.4 | 160-283 | გურჯაანი, სარაჯიშვილის 53 | ო. თარხნიშვილი | 4.54 |
| 2. | I | 287."თბილისის ქაღალდის ფაბრიკა" | 176626 | 55000 | 31.14 | 80409.36 | 233-287 | თბილისი, ბ. ხმელნიცკის 44-ა, ტ. 742671 | შ. ქილდია | 3.2 |
| 3. | VI | 288."საქმანქანა" (ვაკე. ს. რნ. "საქმანქანა") | 182777 | 70000 | 38.3 | 102339.2 | 238-288 | თბილისი, ჭარნახულის 6 | ე. ორჯონიკიძე | 3,5 |
| 4. | XII | 291."ველისციხე" (გურჯ. ველისციხის ღვ. ქ-ნა) | 144281 | 69000 | 47.82 | 100877.2 | 160-291 | გურჯაანის რ-ნი ს. ველისციხე | ქიტიაშვილი | 7 |
| 5. | XIV | 294."ზრამო" (მარნ. ძმარის სამხედრ. ლამ. ქ.) | 378064 | 133000 | 35.18 | 194444.4 | 320-294 | მარნეულის რ-ნი, ს. იმირი | ა. არაბული | 141.5 |
| 6. | XIII | 296."ვერძი-94" (მარნ. შულავერ. მარცვლ. გად.ფ-კა) | 671654 | 218000 | 32.46 | 318713.5 | 320-296 | მარნეულის რ-ნი, დაბა შულავერი | ო. ყანჩაველი | 11.92 |
| 7. | IX | 299."აბაშის ნავთობპროდუქტები" (აბაშ. კმხ) | 28900 | 10000 | 34.6 | 14619.88 | 010-299 | აბაშა, თავისუფლების 168, ტ. 91154 | თ. დუნდუა | 1.8 |
| 8. | XII | 301."აისი" (გორის რძის ქარხანა) | 212465 | 102000 | 48.01 | 149122.8 | 150-301 | გორი, ლამბარაულის 2, ტ.21003 | გ. ნოზაძე | 1.8 |
| 9. | X | 304."სამშენებლო ტრესტი N 9" (გორის) | 70382 | 25000 | 35.52 | 36549.71 | 150-304 | გორი, ბესიკის 5, ტ. 24567 | დ. მაჭავარიანი | 14,5 |
| 10. | XII | 307."აკურა" (თელავი, აკურის ღვინის ქ-ნა) | 330642 | 36500 | 11.04 | 53362.57 | 250-307 | თელავის რ-ნი, სოფ.აკურა | | 4.55 |
| 11. | XII | 310."სამგორი-94" (სამგ.მეფრინვ. რეპროდ.) | 200962 | 92000 | 45.78 | 134502.9 | 140-310 | გარდაბნის რ-ნი სოფ. გამარჯვება 1 | გ. ცომაია | 160 |
| 12. | VII | 311."საქტყეპროექტი" (სპეციალიზ. გაერთიანება) | 60083 | 24700 | 41.11 | 36111.11 | 231-311 | თბილისი, მაიაკოვსკის 7, ტ. 340320 | ლ. პაპუჯაძე | 0.91 |
| 13. | IX | 313."კოლხიდა" (ხობის საკონსერვო ქ-ნა) | 146672 | 70600 | 48.13 | 103216.4 | 610-313 | ხობი, ქეთევან წამებულის 135 | ს. პაპავა | |
| 14. | XII | 314."ლაზი" (ზუგდიდის ექსპ. ჩაის საწნეხი კ-ბი) | 401587 | 100000 | 24.9 | 146198.8 | 220-314 | ზუგდიდი, პარიზის კომუნის 50, ტ. 2547 | ნ. გელუა | |
| 15. | VII | 321. "თეთრი ქვის ტარა" (ქუთ. სახ. საწარ.) | 11303 | 4400 | 38.93 | 6432.749 | 480-321 | ქუთაისი, ასათიანის 96-ა | ო. თელეშვილი | 0.6 |
| 16. | XIII | 328."ვეროსი" (სენაკის ხილისების კ-ბი) | 395431 | 104000 | 26.3 | 152046.8 | 430-328 | სენაკი, მშვიდობის 168, ტ. 21705 | ჯ. რუხია | 2.05 |
| 17. | XV | 332."ტეხურა" (სენაკ. N 5 სამშ. ტრ.XIII კ) | 52086 | 19000 | 36.48 | 27777.78 | 430-332 | სენაკი, ჭავჭავაძის 3 | ვ. ლეჟნიოლია | 1.61 |
| 18. | XIII | 333."ლაზიკა" (სენაკ.N 5 სამშენ.ტრესტი) | 155789 | 49000 | 31.45 | 71637.43 | 430-333 | სენაკი, წმიდა ნინოს 1. | შ. დოხამბხაია | 0.11 |
| 19. | X | 334."სამრეწვ.საწარმ.კ-ბი" (ჭიათ. მე-8 ტრ.) | 171843 | 63000 | 36.66 | 92105.26 | 580-334 | ჭიათურა, საჩხერის გზატ. 10. | | 4.3 |
| 20. | IV | 336."გრაალი-92" (კონც."საქავტოტრანს"ქ.საწ) | 250181 | 115000 | 45.97 | 168128.7 | 238-336 | თბილისი, გარდაბნის გზატკ. 42. | ა. ლოლუა | 6.5 |
| 21. | XII | 337."იმედი" (ოზურგეთის ქალაქგაჯ. უნივერმ.) | 68400 | 31000 | 45.32 | 45321.64 | 370-337 | ოზურგეთი, გურიის 20, ტ. 63302 | ო. გობრონიძე | 0.38 |
| 22. | II | 340."ლედი" (ტრიკოტაჟის N 2 ფაბრ. საწ. კ.) | 400653 | 55000 | 13.73 | 80409.36 | 234-341 | ფოთი, აღმაშენებლის 61 | | 4 |
| 23. | XII | 341."ლელა" (ტრიკოტაჟის N " ფაბრ. საწ. კ.) | 374286 | 181000 | 48.36 | 264619.9 | 234-341 | თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი | | 7.65 |
| 24. | XIII | 342."ახალქალაქი" (ახ.ქალაქმშ. ახალქ. ბეტ. ქ.) | 34752 | 6100 | 17.55 | 8918.129 | 238-342 | თბილისი, კაირის 40 | გ. მაჭარაშვილი | |
| 25. | IX | 348."ბორჯკომბინატი" (ბორჯომი) | 53930 | 25600 | 47.47 | 37426.9 | 130-348 | ბორჯომი, ს. რუსთაველის, ტ. 23147 | ვ. სოლომონიძე | 0.7 |
| 26. | VIII | 349."სამტრედიის ნავთობპროდუქტი" (კმხ) | 134967 | 48000 | 35.56 | 70175.44 | 410-349 | სამტრედია, კეცხოველის 19, ტ. 23303 | თაბორიძე | 6 |
| 27. | XV | 352."მაღლივმშენი" (კარკასულ-პანელოვ. ქ-ნა) | 606701 | 211000 | 35.13 | 308479.5 | 230-352 | თბილისი, ხანძთელის 4 | | 5 |
| 28. | VIII | 356."საქაგრომომარაგება" (საქ ვეტ.მომ.მრ.კ-ბი) | 1380557 | 650000 | 47.08 | 950292.4 | 140-356 | გარდაბნის რ. სოფ. კაბახელა | მ. დალაქიშვილი | 34 |
| 29. | V | 358."სამტრედიის N 2 საკონსერვო ქარხანა" | 64909 | 31000 | 47.76 | 45321.64 | 410-358 | სამტრედია, კოსტავას 17, ტ. 23560 | მ. კვერცხიშვილი | 23,2 |
| 30. | I | 359."სილიკატი" (აქალ. საკვლ. მასალ. კ-ბი) | 310115 | 136000 | 43.85 | 198830.4 | 230-359 | თბილისი, ულიანოვის 143 | | |
| 31. | XIII | 360."ლორკვეთის სამკ მასალათა კომბინატი" | 157555 | 56000 | 35.54 | 81871.35 | 580-360 | ჭიათურა, საჩხერის გზატ. 44. | ო. კუპატაძე | 5 |
| 32. | I | 367. "აქატი" (სსკ "ისარის" ექსპერიმ. ქ-ნა) | 201624 | 72000 | 35.71 | 105263.2 | 236-367 | თბილისი, ჩარგალის 73, ტ.617480 | გ. ჯოჯიძე | 03 |
| 33. | XIII | 368."მარჯი" (ზესტაფ. პოლიგრაფ. საწარმო) | 31683 | 15600 | 49.24 | 22807.02 | 210-368 | ზესტაფონი, ზაქარიაძის 1. | | 0.19 |
| 34. | II | 370."ბახმარო" (სანხერ.სამშ. მასალ. კ-ბი) | 242702 | 118000 | 48.62 | 172514.6 | 420-370 | საჩხერე, მაიაკოვსკის 10. | ჯ. ჯაფარიძე | 35 |
| 35. | XIV | 371."ელექტრონი" ("ფოთიელექტროაპარატი") | 290648 | 64000 | 22.02 | 93567.25 | 460-371 | ფოთი, ქორქიას 39, ტ. 55266 | გ. ფონიავა | 7.5 |
| 36. | VIII | 373."ფოთის ხორცკომბინატი" | 52674 | 22800 | 43.29 | 33333.33 | 460-373 | ფოთი, ჩეხოვის 1, ტ.5340 | | 1.82 |
| 37. | XIII | 374."ფოთის რძის ქარხანა" | 110671 | 530000 | 47.89 | 77485.38 | 460-374 | ფოთი, კოკაიას ხეივანი მე-7 ჩ., ტ.5396 | ჯ. ჯორჯაძე | 1.8 |
| 38. | III | 376."სარია" მსოფლ. მეგენ. მელ. სამრ. კომ. ფ.) | 431340 | 49100 | 11.38 | 71783.63 | 440-376 | სიღნაღი, სოფ.ხირსა | ო. ტაბატაძე | 1170 |
| 39. | XIV | 382."ვიი" (სამგორ რ.სახელწოდ. კომბინატი) | 87642 | 41600 | 47.47 | 60818.71 | 238-382 | ორხევის დასახლ. ახვლედიანის 3 | ა. ხოჯაძე | 4.71 |
| 40. | [illegible] | 390."ჭიათურის საგზაო ასაგრ. საწარმო" | 337501 | 58000 | 17.19 | 84795.32 | 580-390 | ჭიათურა, საჩხერის გზატ 54, ტ 52435 | ჯ. ჯიშიაძე | 3 |
| 41. | II | 393."საქველსწყლიდ მამული" (ს.კ.ფ. "სავანე") | 67979 | 10600 | 15.59 | 15497.08 | 234-393 | თბილისი, პეტრიაშვილის 1, ტ.230037 | ლ. ლეჟავა | |
| | | სულ | 9945691 | 3520600 | | 5147076 | | | | 1680.59 |

# №32 აუქციონი

## განაცხადები მიიღება 1996 წ. 7 თებერვლიდან 1996 წლის 20 თებერვლის 17 საათამდე.
## 1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვ. ვალუტაში.
## აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.

| № | ჯგუ. | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XIII | 363."ახმეტის საკონსერვო ქარხანა" | 189067 | 90000 | 47.6 | 131578.9 | 090-363 | ახმეტა, რუსთაველის 57 | | 1.4 |
| 2. | XI | 401."გუმი" (ჩხოროწყუს საკონსერვო ქარხანა) | 51875 | 23000 | 44.34 | 33625.73 | 550-401 | ჩხოროწყუ, წურწუმიას 40 | | 1 |
| 3. | XIV | 402."ბაისუბანი" (ლაგოდეხი, ბაისუბნის ღვინის ქარხანა) | 255461 | 75000 | 29.36 | 109649.1 | 290-402 | ლაგოდეხი, ს. ბაისუბანი | | 3.5 |
| 4. | IV | 403."რუსთავხორცი" (რუსთავის ხორცის გადამ. საწარმო) | 75803 | 36000 | 47.49 | 52631.58 | 390-403 | რუსთავი, სამგორის 1 | ქ. კობიძე | 0.3 |
| 5. | XIV | 406."ბადიაური" (საგარეჯოს სამრ. კომ. ფ-მა) | 258000 | 91000 | 35.27 | 133040.9 | 400-406 | საგარეჯო, სოფ. ბადიაური | თ. გეგეშიძე | 9 |
| 6. | XIV | 407."გარდაბნის ხორცკომბინატი" (გარდაბ.) | 483221 | 200000 | 41.39 | 292397.7 | 140-407 | გარდაბნის რ-ნი, ს. გაჩიანი | ა. ლავითაშვილი | 9 |
| 7. | XIV | 411."ქეთერი" (ქუთაისის კემპინგი) | 107859 | 50000 | 46.36 | 73099.42 | 480-411 | ქუთაისი, სამტრედიის გზატკეცილი | გ. ალავიძე | 4 |
| 8. | XIV | 413."ქისტაურის ღვინის ქარხანა" (ახმეტა) | 258499 | 73000 | 28.24 | 106725.1 | 090-413 | ახმეტა, სოფ. ქისტაური ტ. 20237 | | |
| 9. | XIV | 417."ზვანი" (საქშამპანურ. ვარდ. სპეციალიზ.) | 45472 | 16000 | 35.19 | 23391.81 | 230-417 | თბილისი, გლდანის სამრეწველო ზონა | ზ. ლაგიაშვილი | |
| 10. | XIV | 418."საგარეჯოს "აგროტექსერვისი"" (კომ. საწ.) | 42701 | 15000 | 35.13 | 21929.82 | 400-418 | საგარეჯო, კოსტავას 9-ა | თ. პეტრიაშვილი | 3.5 |
| 11. | XIV | 419."საგარეჯოს ფერმების მექანიზაცია" | 10909 | 3900 | 35.75 | 5701.754 | 400-419 | საგარეჯო, ქვესამგორის დასახლება | გ. კონაშვილი | |
| 12. | VIII | 423."ზანავი"ბორჯომის საკონსერვო ქარხანა) | 77838 | 37000 | 47.53 | 54093.57 | 130-423 | ბორჯომი, სოფ. ზანავი | მ. ტალახაძე | |
| 13. | VIII | 424."სასწავლო ავიაცენტრი" (სამგრ. ღვ. სასწ. ავიაც.) | 86285 | 40000 | 46-36 | 58479.53 | 238-424 | თბილისი, აეროპორტი | ა. გულაშვილი | 1.8 |
